



საქართველოს
წიგნების კავშირი

ნახ. რ. გუდიაშვილის.



— ვახ! ღიღანს გქინებია,
ჩვენს სოფელში გაჯაფხული
შვე მოსულა და თესვასაც
შესღომიან!



„სორმხვრებელი“ ოკორ-ბი:
ჯერ რა ღროს თესვაა, რა-
სა თოვლი ჯერ კიდეც არ
გამდნარა!



სიანბ
მაგბი, 1933
№ 6
ფანი 40 კაპ.

2.5.

შეურაცხყოფილი პარტიან

ათანასი
და იმსს

პარტიანს „ბიჭათ ბიჭობას“ ვერა-
გინ დაუძრავებს, მიხვრა-მოხვრა არ
აკლია და სიტყვა-პასუხი....

თავს ისე მოგაჩვენებს, თითქოს
ჩვენი ცხოვრების გასაღები ჯიბით
დაქონდეს.

პარტიანს ვენერალური ხაზზე,
„კლდესავით დგას“.

— დასასტრეცია, დასასტრეცი. მა
გათი!... — შეუტყურობებს ხოლმე
„მემარტენე“ — მემარჯვენე ოპორტუ-
ნისტებს. თითონ კი წშირად უშ-
ვესს პრაქტიკაში მემარჯვენე-მემარ-
ტენე ხასიათის შეცდომებს...

რაც მთავარია, პარტიან ვერ ეფუ-
ება სოციალისტურ ტემპებს.

— ნათქვამია: შორიდან მოუარე
და შინ შეიღობით მიდიო. „ტიშე
ქღემ დაღმე ბედემო“ — ჩაუროსუ-
ლებს იგი როცა ვინმის უმტკიცებს
ტემპების გადაჭარბების წინააღმ-
დეგ.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ პარ-
ტიანს თავის დროზე დაეწყოს რაიმე
საქმე და გაეთავებინოს.

— რა ფუნქციონირებდა კაცია! — ამ-
ბობენ მასზე, როცა იგი რომელიმე
საქმეს დაიძვევებს...

უკანასკნელად პარტიან ერთ-ერთ
სატრაქტორო სადგურის უფროს-
სი იყო.

მას, როცა ამ თანამდებობაზე წი-
წავდნენ, პირდაპირ უთხრეს:

— ამხანაგო პარტიან, ხომ ხედავ
რა საპსუსისმგებლო თანამდებობა-
ზე იწინები და ხომ გესმის პარტიან
რა დიდ მოთხოვნებს უყენებს სატ-
რაქტორო სადგურებს.

პარტიანმა იუკადროსა პასუსისმგე-
ბელ ამხანაგის ასეთი მომართვა და
შეურტია:

— როგორ, ექვლები კიდევ, რომ
მე ამ საქმეს ვერ შევიტყურობებ? ეს
ჩემი შეურაცხყოფაა, როგორც კო-
მუნისტის. სატრაქტორო საიღურს
ეს არა, მთელ საბოომწიფოს მოუე-
ლი!

— ამხანაგო პარტიან, დროა შეუდ
სეთ საგაზაფხულო თესვისათვის
მწადებას, თორემ დავიგვიანებთ და
პასუსისმგებას ვერ ავცდებით! — მი-
მართეს მას ერთხელ სადგურის ზო-
გიერთმა თანამშრომლებმა. პარტიან-
მა გადახედა მათ, აზომ-დაზომა და
დამშვიდებული ხმით მიუღო:

— რუსული ანდაზა მაინც არ გა-
ვითინათ: „პოსპემში, კოილდეი ნა-
სემში“ — და პარტიანმა მოუშვა სა-
ღურდელი, მოჰყვა „ცისა და ბა-
რის“ ამბავს, სანამ ენა არ მოკლალა.

პარტიანს ტფილისიდან პრივალა
მოველინა, ბრივალამ გამოარკვია,
რომ სადგურში, რომლის გადგე პა-
რტიანი იყო, არავითარი მწადება არ
სწარმოებდა საგაზაფხულო თესვი-

სათვის, ტრაქტორები შეუკეთებე-
ლი იდგა; ნაწილები უბატონოდ
გვარა ცისქვეშ, იფანებოდა და ფუ-
ქდებოდა... ბრივალამ დასახა მთე-
ლი რიგი ღონისძიებანი სადგურის
მუშაობის გამოცოცხლებისათვის და
არსებული მდგომარეობის შესახებ
აცნობა შემდგომ ორგანოებს.

პარტიან გაბუტული დაყვებოდა
ბრივალას და გული ბრაზით ეცხე-
ბოდა....

— ერთი ის მიბრძანეთ, საიდან
იციო თქვენ, რომ მე არ მქონდა და
სახული საჭირო ღონისძიებები ჩე-
მი სადგურის მუშაობის უფრო მა-
ღალ საფეხურზე აყვანისათვის —
შეეკითხა ბრივალას თავმჯდომარეს.

— თქვენს მიერ დასახულ ღონის-
ძიებებს ჩვენ არ ვიცნობთ. ჩვენ გა-
ვეცანით სადგურის არსებულ მდგო-
მარეობას, რომლის მიხედვით ჩვენ
დაესახეთ სათანადო ღონისძიებები.
მიუფო მას ბრივალის თავმჯდომარე-
მს.

მეორე დღეს ბრივალის თავმჯდო-
მარისა და პარტიანის სახელზე ტფი-
ლისიდან მიღებული იქნა ელვა, რო-
მლითაც შემდგომი ორგანო აცნო-
ებდა მათ, პარტიანს სამსახურიდან
განთავისუფლებასა და მის ადგილას
სხვის დანიშვნის შესახებ...

— როგორ, მე არ შეეკითხებთან
და ისე მხსნიან? ეს ხომ შეურაცყო-
ფაა ჩემი! არა, ამის მოთმენა შეუძ-
ლებელია! — გაიძახა პარტიანი და
ემზადებოდა (ცხადია, არა თესვის
კამპანიისათვის) ტფილისში წასასე-
ლელად.

შეშვარა



— ვინ თქვა, რომ ჩვენ ხსობთ არა
გაჭვება? როგორ არ გაჭვებს; უშლა-
ფერი გაჭვებს, მაგალითად გაჭვებს შემო-
ღებულ მღვრეულ ხსობთ, ხანადო
სხობთ და სხ.

მესაკუთრე ათანასე
და კოლმეურნე იასე,
გზაში რომ ერთმანეთს შეხვდნენ,
ასეთი ბაასი შექმნეს:

— ერთი მითხარ მეგობარო,
ჩემო ახლო მეზობლო!
როგორ მიდის შენი საქმე,
გამაგებინე ეს აქ მე!
კოლექტივში შენ რომ შედი,
ჯული ამოთ დაიშვიდე —
თუ განიცდი შენც ერთთავად
ერთგვარ ყოყმანს, ისე, ვით მე?
ხარ თუ არა კმაყოფილი,
რომ არ გაქვს გამოყოფილი
მიწა შენთვის საკუთარი
გუთანი და უდღად ხარია?
ხომ არ ხდება ისე ხოლოვ,
შენი ოფლი, შენი შრომა,
ნყოფს როცა გამოიღებს,
შენს წავიერ სხვა მიიღებს?

პასუხად ჩვენმა იასემ
შეზომელს თვალი „მიასო“,
ახელ დაწედა ღიმილით
და განუცხადა ტკბილი ხმით:
მეზობლო ათანასე
ხშირად მოტკვამს შენთვის ახე:
ყველაფერში კმაყოფილი
კაცი არასდროს ყოფილა!
თუ მიწანი საამყო
და საქვეყნო ამოცანა
კაცს არ უღვას თვის წინაშე —
ცხოვრება ღირს მისი განა?
კაცი მულამ წინ მიიღტვის,
ხშირად არც კი იცის რისთვის
ის ზირუტყვს ემგაგებოდა!
ეს გრძნობა, რომ ღვავებოდა!
დაუკვირდი შენ ამ სიტყვებს,
ჰკითხე თუ გინდ ეს კიდევ სხვებს:
ყველა ამას გიპასუხებს,
თავში თუ რამ არ აწუხებს!
ამის მე ვამბობ საერთოდ!...
ახლა იმ საკითხს შეგვსოთ,
რომელიც შენ მე დამისვი, —
რაც ვიფიქრია იგი თქვი!

კოლმეურნეობის აზრი
ემყარება სწორედ მასზე,
რომ შეერთებული შრომით
უფრო ტკბილად ბური გჭამოთ
ვალად გვაღვავს, უშველოდა
ძაბუნს უნდა მივეშველოთ,
თუმცა ხშირად არამწადაც
თვალებს დაჰყვლებს უკვე მზაზე!
მაგრამ ეს ხომ წვრილმანია,
მალე წავა რაც ხანია.

ჩვენ დაგვჩრება საქმე კარგი,
სახარგებლო, ყველას მარგი.
ახა ჩემო ათანასე,
მე შენ გეტყვი მტკიცედ ასე:
ახლა არის სულ სხვა ხანა,
ერთად ვხნათ და ვთვლით ყანა.
ს. თ. — ია.



სად რა უშვლება თვისის ფრონტზე

აბა ავაზი „ხელუხლებლისა“
(აბაშის რაიონი, სოფ. მარანი)

რა ავაზია გონაშვილის გონაშვი

კარაქს სანაღწიფოს შიდა მიხსენა

და ფონდი იგი იყო ხელუხლებელი... კომუნისტთა ნაოფლარი... გადაღებული თვისისათვის სავაზაფსულოდ. პო ერთი სიტყვით, შენახული საგულდაგულოთ.

— ყველამ იცის, რომ კარაქტრესტს თავის ხუთივე საბჭოთა მეურნეობაში სჭირდებოდა სათესლე 1044 ცენტერი კარტოფილი...

— არა მხოლო, რაც მართალია, მართალია, კარაქს ვერ გავიმეტებ სანაღწიფოსათვის... რისი დამზადება! დამზადებულიც მიქვს და დაბრუნებულიც! ხუმრობ კაცო! 20 მანეთი



— არა გლადიმერ, არ ივარგება, ხელუხლებელი ფონდია, — ლაღად ყო კოლხეობის თაემჯდომარემ პროკოფი ფანანასძე ნოდამ, ოდეს სოფლის საბჭოს თაემჯდომარემ და იქინა, „თიო-თიო“ ფუთი გაეცოცოთო.

— ამჟამად ყველამ ვაიგო, რომ ტრესტს სათესლად აქვს მხოლოდ 705 ცენტერი, ისიც ნახევარზე მეტი რესპუბლიკის ფარგლებს იქით შევიძინე, როცა ვაჭირვებაში ჩავარდი...



— ეს რას მიშველის... რა ვუყო თეთრი წყაროს მეურნეობას? რა ვუყო მაშკინეთის მეურნეობას? რა დავათესებო, როცა ერთი გრამი სათესლე კარტოფილი არ შევარჩინე...

ღირს შავ ბაზარზე გირავნება, — და დის და ლაპარაკობს სოფელ გუბთაში (სამხრეთ - ოსეთი) ბარტიიდან გაპანდურებული ივანე ვიოვი.

— ამას 20 ფუთი, იმას 40 ფუთი, იმას 50 ფუთი... გაეცით!.. გადმოვხავეთ ტრესტის თანამშრომლებსათვის 200 ფუთი კარტოფილი!

დადის და ქადაგებს საბოტაჟს ვიოვი, მერე, რას შერება პარტულვარე დი! არაფერს, უყურებს და არის. შოგერთი წევრთაგანი — კვირსაც კი უჭრავს ივანეთ, „მაშ, მაშ, ცარაქი სახელმწიფოს რად უნდა მიეცეთ!

— ძილი თვალს არ ეყარება! ვაი სად არიან ესლა ისინი, რომ სულ მუცლიდან ამოვგლიჯო ყველა კარტოფილები...



ესეთ დღეშია კარაქტორესტის დირექტორი გონაშვილი. აფსუსს რა ბიჭი გააფუტა კარტოფილმა!

— ივანე! მანდ შენ და შენს ამყოლ — დაბყოლებს რამდენიმე ხნით „ნიანგი“ გიბარებს თავის „კუტუხუკაში“... თუ შეიძლება თქვენა ფეხით მობრძანდით, თუ არა და სულ ერთია მაინც მობრძანდებით.

განი

ფერილი გაგოს

გეთანხმები, ვაბო, სიმონ ნაცვლიშვილი მართლაც კაი ბიჭია. კარგი ბჭეს მად და შოიანი მოჭეიფე. ეს ერთი წელიწადია, რაც მე მას ვიცნობ, როგორც ბაბბის შემყიდველი პუნქტის გამგეს წნორის-წყალში. უნდა გამოგიტყდე იშვიათად შევხვედრები ფბიზელს.

სიმონ ნაცვლიშვილი მეფარველობს და სამსახურში აწყობს თელავიდან გამოქცეულ კულაკებს.

ბან „სესხად“ მისცა 15 ფუთი ხორბალი, მოესველებზე გასაცემი ფონდიდან 100 ფუთი ხორბალი გასცა სიღნაღის მევენახეობის კომბინატზე, რომელიც უარს ამბობს სესხის გადახდაზე. 100 ფუთი ხორბალი მიეცა რაიკავშირს, რომელმაც ხორბლის ნაცვლად ჭვავი დაუბრუნა ბაბბის შემყიდველ პუნქტს. ხორბლის ნაცვლად გლეხებმა ჭვავი მიიღეს.

რას უხამს მას ვილაყ იოსებ თონაშვილი. თუნდა 1905 წლიდან იყოს იოსები პარტიის წევრი, თუნდაც მატისიანი და ენერგიული მუშა იყოს, თუნდაც ორივე თვალთ ხედავდეს ის ამ საძაგლობას, რომელსაც სიმონს აწერენ აჭაური მუშები. რამდენიც სურს იმდენი ამტკიცოს იოსებმა და სხვებმაც, რომ

კარგი ბიჭია და აბა ვინ გაუტეხს მას ხაარს. წნორის მეღვინეთა ამბბის თანამშრომლებს სიმონი ფუთობით აღლევს ხორბალს და ბრინჯს. სამაგიეროდ ლებულობს საუკეთესო ხარისხის ღვინოს „შინაურულ“ ფასებში. (ერთი ფუთი ბრინჯი რე. გზის საღვურის უფროსსაც უსაჩუქრა. ესეც გამთადდება მას).

ერთი სიტყვით რომ იტყვიან: „კაცი უნდა ხერხი იყოსო“, ისეთია ჩვენი სიმონი თავის მოხერხებით, მაგრამ იმ დამატებით, რომ ის ყველაფერს „სულ თავისკენ მიითვლოს“ ვნახოთ სანამდი გაგრძელდება.

საწყობის მუშებმა ვრგებოდა 10 ვილო ხორბალი თვეში, სიმონმა უფრო უთხრა მათ: „თქვენთვის არ გვაქვს ხორბალიო.“ 26 თებერვალს კი მან საქაქრო-

სარდიონი.



რასაც დასთმის...

ბოლშევიკური თესვა რომ ჰქვიან,
მას ყურადღება არ აჩვენებს გვიან.

უკვე ზამთრიდან ჩვენში ცხადდება
საგაზაფხულო თესვის მზადება.

და თუ დღეს, როცა პარტისა,
ვინმე მთესველმა ვერ ივარგისა,
ვერ მოაგვარა თესლის მარაგი,
ვერც დასათესი მოხა ალაგი,
არც ინვენტარი აქვს წესზე, რიგზე,
რას იგებს ამ საქმის კბინანი. თითზე?

სურენა ან, თუნდა სულ მოიჭერი,
ბოლშევიკური თესვის ხარმტერი,
კვლავ მტერიც მთელი სოც მშენებლობის
მე ვარ მპყრობელი უტოლარ ცნობის,

რომ პრასიანის სოფლის არ ტელში
დადიან ახალ გაწეთით ხელში,
რომელშიც თეთრზე შავათ სწერია,
რომ ეს არტელი თავის მტერიცაა,
რადგან მტერია იგი თესვისა!
უკვე ბოლოა დღეს რტის თვისა,

უკვე ფაქტიურ თესვას იწყებენ,
პრასიანლები კი ივიწყებენ.

რომ მათ სჭიროდათ წინ წინ მზადება:
სათესლისაოვის ფონდს ადგება,

ხარსა და ვამენს ჭარბათ პურებაც,
რომ იგრძნონ უღლის აბეურებაც
თესვისთვის მშრომელ ხელის მზად ყოფნა.
კვლავ დე, საკითხი გადასჭრას იფლმა,
დადგრილმა თავლად მწით გამთბარ ხნულში,
ჩათესილ თესლს რომ შეიხვევს გულში

და ლურჯ ჯეჯილად კვლავ გადიშლება...
აქ შრომის სახეც გამოიცვლება:

ჯეჯილს სჭირდება მახვილი თოხი,
რომ კვლავ ზამთარში დაბურდეს ქოხი

და ახალ თესვას შეუდგეს ძღვეით,
ახალ მოსავლის ახალ მიღწევით!

პრასიანლებს კი ეს არ სმენ ყენიათ,
მიკვირს გაწეთში რაღად სწდათ?

მათი არტელის ხსენება ცუდათ?
ქალამნად მიწა ცა უჩნდა ქუდათ?

მათს თავმჯდომარეს, ია თესა:
დვინო ზამთარში მან ბლომად შესვა

და არა ერთი დასცალა ქვევრი,
იკოტრიალა დოვინშიც ბევრი,
ნაბახურეგვს რომ თავი სტკაოდა,

მხოლოდ თესვაზე არას სჩიოდა,
(დრო კი, კარგი დრო ცივად დიოდა!...)

მისდევდა ასე თვითმდინარებას,
ვერ ახდიოდა კაცი მთქნარებას..

ასე იკოტნ და არის ცხადი:
ჩავარდნილი აქვს ეს წელიწადი,

ჩავარდნილი აქვს თესვა თუ ფარცხვა!...
რას უშველის აწ. თუ ოდნავდარცხვა,

მას, გადიდებულ მოსავლის ნაცვლად,
თავმჯდომრობისგან მოუწყვეს ვაცლად!

პაუზირა.

დათესილი პთესველი

ეროვნული
კომპოზიცი

კომპოზიციული ფოცხვერია, რომელიც
გაგზავნილი იყო სალ.კ.კ. ცეკას მიერ
უდაბნოს საბჭოთა მამულში, დანიშნულების
ადგილზე არ ჩავიდა.

„დაე, გამრიცხონ კავშირიდან,
თუნდ ლახვარი მკრან“,
არ შევშფოთდები:
„რას იქმინა არა იციან“.

„ქათამმა წყალი დალიაო
და ღმერთს შეხედა“,
ღმერთი თუმც არ მწაწა,
ჩემს გამირობას მეც კარგად ვხედავ:

ენტუზიასტი რომ ვარ თესვის
ცხადია ესე,
რადგან თესვაზე გაგზავნილი
თვით დავითესე!

კიხა

ფხიზლაღ!

გაზაფხულის თესვა ფხიზლად ჩავატარეთ
მინდვრად დავირაზით კაცი, ბიკი, ქალი.
მტრები, ორგულები არსად გავატარეთ
ვინც კი ხელს შეგვიშლის, ვაი მისი ბრალი,
კალამს შემოვევლე, კალამს გენაცვალე
მტრებისთვის არის ტყვია, რისთვის შენი.
მტრებო, ორგულებო, აბა, „პირად ალე“, —
ღედას აგიტირებთ კოლმეურნი გლეხი.

პერევისის თემში კოლექტივის მდენათ
დღესაც ამ საათში იქ დევნიე არი
წინეთ ღველი იყო გლეხებს სქამდა, ბდღენდა.
სახლში უკიდია საცეცხლური, გვერაი.
სპეტის კოლექტივში პერევისის აბლოს
მდინად იქ მეორე ღველი თურმე სახლობს
სხეიტორის კოლექტივის რომ შეუწყოს ხელი
მოანგარიშეთ ყავს მაგენ წერეთელი!
ქალის კოლექტივში არ ჩანს რივი, წესი
აღბათ მათ არ უნდათ იყონ უკეთესი
გაუხდათ ხარები, მათ დაიკლეს წონა.
მინდორში კი დალაზა ჩალა ბეჭერი კონა.

საგარეჯოს თემში ბევრს უმინჯეს კბილი,
კოლექტივის მოსწყვიტეს ნიკა მქედლოშვილი;
წინეთ თუ ვინ იყო — რაღათ უნდა თქმა
ოცდათორმეტ წლამდის მას არ ჰქონდა ხმაი.

იქ სხვა კოლექტივში მისი მოძმი იყო,
ჭყოფილ ღვედეს ეძახდენ ეჭვითმიშვილ სიკოს,
გლეხებს ალოცებდა ის რომანოვ ნიკოს,
ენლა სადაც უნდა იქით თოხარკობს.

ჩერქეზიშვილ სანდროს აუწყის ყურა
იმან გადაშალა დვინო, ბრინჯი, პური.
აფრიამოვ ნიკას ვერ მივართმევ შაქარს
მას იცნობდე როგორც საეკულოანტს, ვაქარს.

დუქანოზიშვილი ჩარჩი იყო ძველი
კოლექტივში შეძგრა — გაიმართა წელი
ენლა შეაჩინეს საქმე რამე ბნელი
კოლმეურნეებმა იმასაც ჰკრეს ხელი.

ხუბაშვილი ნიკა კაცი იყო ავი
ყოფილების გახლდათ იგი მოუზრავი.
კოლექტივის ერთის მანც შეალო კარი.
გაუგეს გაჩისტეს — ის იქ აღარ არი.

ვინც კი ენლა დაგვრჩა მას კბილს გავკრავთ ხელმ,
კლასიურა მტრებო, აბა, — პირად ალე!

ს. კნელოლმი



ჩინური კედელი

ნახ. ნადარეიშვილის. იპოვებო დიპლომა უნე და გრანდ-მედილი
ლახა ჩინეთის კედელი; რომანტიკული
რაგი მსხვერპლი შეიქირა.



იპოვებო (ერთი ლივას):—აი, ახლა ხომ დარწმუნდით, რომ ჩინეთში ჩვენ მხოლოდ
ცვთილი ზრახვები გვამოქმედებდა — ჩვენსა და ჩინეთს შორის უკვე აღარ არის ამარ-
თული ჩინური კედელი.



ჩაულა და გაულა 2 ათასი წლის შედეგ



ზის ოპორტუნაძე და კოთხელობს ცირკულარს.

— დაყვანილი უნდა იქნეს თესვის გეგმები თვითნებულ კოლმეურნობაში, თვითნებულ კოლმეურნებზე და ღარიბ და საშუალო მეურნეობაში...

— იი საქმეში მოღვაწე ხალხი! — ვაკვირებით აცხადებს ოპორტუნაძე და ღარიბის ცხვირში იყოფს უღარიბისთვის თითქმის, — არა ეგ დალოცვილი შვილები რას ფიქრობენ, როცა ამდენ დავალბებებს ერთად იძლევიან?

— ეგ ჩხირკედელა ხალხის ამბავია, ამხანაგო ოპორტუნა! თვალში ამოიღეს და იმით, თვარა მაგდენი საქმე ერთ რაიონს და ისიც ერთდამივე დროს? — უღასტურებს მას ახლად შემოსული მეზობელ სოფელში განკუთვნილი „საწყალი“ სპირიტონი, რომელიც ამჟამად კოლმეურნეობაში მოანგარიშდეს არის მოწყობილი.

— ბატონო, კულაკური ელემენტები გააძველოთ, რომლებიც ცდილობენ ბოლშევიკური თესვის გეგმების ჩაშლას.

— აქ ვაშბობ თვალში ამოვიღეს მეთქი, სად არიან ახლა კულაკური ელემენტები?

— მართლაც და სად არიან ბატონო, სად ვინც იყო თავის დროზე განაკულაკეს და გაათავეს. ახლა ის ხალხი საქმეზეა, მუშაობენ მისთვის. (ოპორტუნაძე იღებს პორთფელს და ხანგრძლივი ძებნის შემდეგ ამოართქვს დაბეჭდილ გეგმას) აბა რა გონივრულ უგებოდ ვიმუშავებთ თუ?

— დაიყვანეთ?

— გეგმები ხომ არის, დაყვანას რა თავი უტკივს? დაიყვანეთ, ჯერ ხალხი ხნავს, სად სცალია! („საწყალი“ სპირიტონი გულში ხითხითებს)

— შეაკეთეთ ტრაქტორები?

— შევაკეთებდით, მაგრამ ხომ იცით სათადარიგო ნაწილების მიღების შესახებ ცირკულარი გვიან მივიღეთ და ი შეჩვენებული საცხა ქალაქებში გვქონდა ჩადებული და ქე დეკარგა. სანამ ახალ მოთხოვნებს გავაგზავნიდით ხენა უკვე დაიწყო. ამიტომ შეაკეთება ისევ შემოღობისათვის გადავდეთ (სპირიტონი კვლავ ხითხითებს)

— თესლსაც შეაგროვებდით.

— ასე ვხატვით, ნაწილი უკვე შეგროვილია ნაწილსაც აღბად შევაგროვებთ, შეწამლვა კი აღბად აღარ მოგსწრება — თესვა დაიწყება.

უხსოვარ დროში, ყინულოვან ეპოქამდე ცხოვრობდნენ ვეებერთელა ცხოველები (ისტოზაგერები, მამონტები), რომლებსაც ნ საუენი აგრძე შექონდათ. ამ ცხოველებს სპილოებთან ისე შეედლოთ თამაში, როგორც კატა თამაშობს თავის კნუტებთან.

შემდეგ გადაგვიარონ ეს ცხოველები. მეოცე საუკუნეში, დაახლოებით 1933 წელში, ფრინველები იწველებოდნენ, რძეს იძლეოდნენ და რაკი რძეს იძლეოდნენ, ცხადია, მათი რძიდან კითდებოდა ყველი, კარაქი და ერბო.

დღეს ჩვენი ფრინველები ამაყობენ, რომ ზოგ მათგანს გემრიელი ხორცი აქვთ და კვერცხს სდებენ. მაგრამ მათი წინაპრები მათზე უკეთესნი იყვნენ მით, რომ რძეს აძლეოდნენ თავიანთ პატრონებს.

მე ვამჩნევ, რომ ზოგიერთ სტოცენტებს ეს ჩემი ლექცია სასაცილოდაც არ ჰყოფნიან და არ სჯერათ, რომ მაშინდელი ფრინველი რძეს იძლეოდა.

ვისაც ესმის დარვინის ევოლიუციონური თეორია, მისთვის ეს არ იქნება საოცრება.

დროთა ვითარებაში მოხდა იმ ორ განთების ატროფია, სადაც რძე მზადდებოდა ფრინველთა ორგანიზმში. ალბად ეს გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში დღეს ჩვენი ფრინველები რძეს აღარ იძლევიან.

ჩვენამდე კიდევ მოღწეოლია ზღაპრებში ასეთი თქმები: უფლისწულმა იხეთი ქორწილი ვადიხადა, რომ ჩიტის რძეც კი არ აკლდა სუფრასო.

როგორც ჩანს მაშინ რძეს იძლეოდა არა მარტო შინაური ფრინველი (ქათამი, იხვი, ინდაური და ბატი)

არამედ ჩიტიც. რომელიც მაშინ კი დევ არ იყო მოშინაურებული.

თუ როგორ ხდებოდა ფრინველების მოწველა, ამის შესახებ ცნობა არ დავგრჩენია. მაგრამ უტყუარი დოკუმენტი გვაქვს იმისა, რომ ფრინველები მაშინ რძეს იძლეოდნენ.

ტვილისის მიდამოების გათხრის დროს, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ეგეტის ასეთი აბრა:



როგორც უკვე პროტისორების მიერ შესწავლილია ამ სიტყვის შინაარსი, ეს სახელწოდება შესდგება სამი სიტყვისაგან: „საქ“ - საქართველო, „რძე“ - რძე და „ფრინველი“ - ფრინველი.

მაშასადამე, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ორიათასი წლის წინედ, ე. ი. დაახლოებით 1933 წელში ფრინველები რძეს იძლეოდნენ.

ცხადია, აღნიშნის ცხოვრება მაშინ უფრო ხანგრძლივი იქნებოდა, რადგან ფრინველის რძე ალბად უფრო ნოყიერია, ვიდრე ცხოველის.

ასეთი ლექცია წაითხება ვერსიტეტში აღბად 2933 წელში. ასე შეიყვანს შეცდომაში მომავალ მეტეორებს „საქრძეფრინველი“.

ისეაი

— ხი, ხი, ხი, — ხითხითებს სპირიტონი, — ეგ კი მართლაც ჩხირკედლობაა! არა, წინად რომ არ ვსწამლავდით, პური არ მოდიოდა თუ?

— მეც მაგას ვაშბობ, მაგრამ დააჯერე ჩვენი აგრონომი, საქმე უნდა გამოაჩინოს და ლობეყორეს ეღება.

ამ დროს შემოდის ბრიგადა. „საწყალი“ სპირიტონი მელისასვით გაიპარება. ოპორტუნაძე კი ბრიგადის შეკითხვებზე უფრო შეღამაზებულიად იმეორებს შემოთმოყვანილ პასუხებს. ბრიგადის დასკვნა გამოაქვას —

ოპორტუნაძის აზრით, მეტად „ცალმხრივი“ და „მკაცრი“.

რამოდენიმე დღის შემდეგ, ოპორტუნაძე რომ არ მოელოდა, ისე აბარებს კოლექტივიდან. „საწყალ“ სპირიტონს ჩამოართვეს მოანგარიშის თანამდებობა, მაგრამ ეს იმდენად აღარ აწუხებს მას, რამდენადც ის, რომ იმედი არ გამოართულა და ამ „შეჩვენებულებმა“ მაინც გაშალეს თესვა და გეგმა. ასე ასრულებინ.

— შიი დაღაზვროს ღმერთმა, ჩვენ თესვის ჩაშლა გვირდოდა და გაშლა კი გამოვიდა.

თარსი



ამბავი მოხსდარი არა მე-5-მასაუკუნეში და დაწერილი არაიპოკრატ ხუცუნის მიერ, — არამედ ამბავი ჩვენი ღრმისა, მოხსდარი რა. გუაგუ და დაწერილი გუაგუს მიერ.

იყო მერვესა მარტსა ა. წელსა ესამ საგაზფხულსა, ოდეს ჰქროდნენ ქარნი ხორმაქნი და ყინვა იდგა მუნ ქვეყანასა ამს.

ამინდსა ასეთსა სადგურსა ოხურგეთისა ქალმა მისცა ბარჯა ფუთი სიმინდის ფქვილისა, რომლისგან იცხობის პური წოდებული მჭადად.

ქალსა მას ჰყვანდის ძე ტფილისსა ქალაქს სტუმრულად. ვიდრდა ქალი დედა იგი სტუმრად სანახავად შვილისა და მიჰქონდა ძღვენი ძღვენი იგი ფქვილი.

სახელი მისი შუშანიკ გვარი ქვრივბე.

რავამს წარდგა იგი საბარჯო სალასისა ტფილისს, იყო რიგი უფროესი რნათა ერთა ლიგისა დიპლომატიზისა.

და ჰრქვა შუშანიკ:

— უფალო ღმერთო, რად არ მიეც ქვა და გონება საბარჯოს უფროსსა, რამეთუ მოაწესრიგოს საქმე ისე, რომ არ იყოს ვოლოკიტა და წამებანი მისაღებად ბარჯისა.

და შემდგომად ორისა დღისა მავი და მუნ, რათა მიეღო ფქვილი იგი.

და ჰრქვა მოლოარემ: — არა არს ბარჯი ესე მიღებულ ოხურგეთიდან ტფილისსა შინა. მაშინ წმიდამან შუშანიკ ჰრქვა მათ:

— კაცხო, ბრძენო! თქვენ კეთილად იტყვიეთა გარნა ნუ დაგიფერებინს, მაგრამ ბარჯი ჩემი უღია საწყლად საწყობსა № 14-სა და მიირთმევენ მას თავნი მრავალნი.

მაშინ შევლად აღდგა სტუმრულა ძე მისი და იბრძოდის მისაღებად ბარჯისა.

აგინებდა თესლ-ტომსა ასეთი ბიურკრატებისა.

და ვითარცა იხილა საწყობსა № 14-ში ფქვილი თვისი, დაავლო ხელი და უნდოდა წაღება ჯიუტ მოლოარესთან საბუთად, მაგრამ მუნ გამოტყვერა ხიფათი დიდი.

— დაიკით, რამეთუ ქურდი არს და ჰქურდობს სახაზინო ჭრებსა, შესახებ რომლისა არსებობს კანონი მკაცრი გამოცემული ივესტოსა 7-ს გ. წ.

და დაიჭირეს დედა და შვილი. და გავიდა დღე იგი და შემდგომად. ხოლო დღესა მეშვიდესა უთხრეს მათ სალოაროსა შინა:

— აქ არს ქვითარი თქვენი და ბარჯი თქვენი განსვენებს საწყობსა № 14-სა.

და მისცეს ქვითარი გამოწერილი და უნდაოშეს ამდენი გაცდენა და ახდევინეს ფული მუტი.

ხოლო როცა მივიდნენ მისაღებად ფქვილისა საწყობსა შინა, ააოვეს მხოლოდ დატრეცილი ტომარი.

და აყვარდა წამებული შუშანიკი:

— სადა არს ფქვილი ჩემი? და უთხრეს მას:

— ასე გეკადრებინს, რამეთუ თავის დროზე არ მოიკითხეთ ბარჯი თქვენი, რომელიც შესჭამეს თავენმა.

და ჰრქვა შუშანიკ:

— აღბად თავებმა იმით აცვიათ ტანზე და დადიან ორისა ფესსა და ეწოდების მათ ვირთხანი კაცისანი.

და არს დასაბამი ტანჯუთა მათ წმიდისა შუშანიკისათა მერვესა დღესა. **გაგუკი.**

ნ ა ტ ვ რ ა

ახ, ნეტავი, დედა მყავდეს! და ცხოვრობდეს ის ჩემ ძმასთან! ცმაყოფაზე დაეწერდი თუნდ ცოხნიდეს იგი სხვასთან და ცხოვრობდეს ის ჩემს ძმასთან, წარუადგენდი სამსახურში ჩემს ანკეტას კუჭის მერცხალს, დამატებით აველებდი პურის წიგნაქს კიდევ ერთ ცალს.

ახ ნეტავი, ნიჭი მომცა, და შემედლოს ლექსთა წყობა, ზოგობას დაეწყებდი (გაადვილდა კალმონობა). მეც სხვებივით ვწერდი რაღა ზოგორც მესმის, როგორც მინდა: ვატას თავეი შემოახტა და ტრამეი აქვითინდა... გამოგებენ თუ არა მე რას დავეძებ მაგათ დარდებს, ავიღებდი ჰონორარს და გადაგვრავდი კახურ კვარტებს **იანო.**

ა ბ ა უ ა

საბავშვო ბაღში შეგვიწინე ლანდები სხვანაირია! მასწავლებელი ქალების იქ გაცდენები ხშირია. პაწა ბაღლები ნადევლით თვის აღმზრდელს ელოდებიან! (მესმის სიავე, სხვა რამეც, დაღის „ბოროტი“ ხმებია) კვი ბიჭი ხარ, მარა რა, ფოსტის უფროსო მამია! ხშირად, ხანდახან კი არა, გაწამებს შავი წამია. რადიო აღარ გევიარა, ფოსტაში არ გვაქვს წესია! ვახეთებს თვალთ ვერ ვხედავთ, წერილებს ვხაში ესხმონ. პირობით აქ ვწყვეტ საუბარს და ვაღას გაძლევ მამია! — თუ კიდევ ლექსით გაგწერო, არ დამემღურო ძამია. სასადილოზე ფიქრები ლოდივით გადაგვწოლია! ი, როგორ გკვლავს და გვიწუხებს მავენ და შავი ზოლია.

სადილი თუ გსურს, წადილი არ არის ასე ადვილი! აშკარა საშინელების, ადვილი არის ნამდივილი. რას იზამ, თვალში უყურებ, მწარე სიციცხლეს და სიკვდილს! დავისა უბედურებას კინდა გაბედავს და იტყვის. არა და ბეჩავ სურათებს სანამდე ვუცქირ — უყუროთ! გაგმე კი დაღის უსველოთ, უთავოთა და უყუროთ! თუ კიდევ ასე გაგრძელდა „ეზო“ — საც დავემღურებო ზოგიერთ თანამშრომლებსა, მსურს აუწიო ყურები. დღის რიცხვებს სხვადასხვა სახით ეგებებიან, ხედებიან! საათის ათზე მოდიან, თორმეტზე საღდაც ჰქრებიან. ამბავი ესე ნახული, სწორი, ნამდივილი არისო! და აწი ვნახოთ რას იზამს: ვლადიმერი და ბარისო... **ვაგნელი გუკი.**





პიტლარი: — ჩვენებიც მატყუი-
ლებენ... ეს არის ყველანი დაგზოცე-
თა: ერთის მაგიერ ათი გამოსულა.

სიკო და მიკროსკოპი

—საგარეჯოს იყო ვინმე
სპეციალის გემე სიკო
შხიანი დღე უნათებდა
კოლექტივში იყო თითქოს:
— სამკითხველოს ესტუმრა და
ისარგებლა რამით მანაც,
მიკროსკოპი გააცოცა,
გაიპარა ვანდავანა.
— მაგრამ დღეს ვის შერჩენია
მტაცებლობა, ავი შრახვა,
არსებული, კანონების
გათეღვა და გადაღახვა.
სიკოს ყელში გაეხირო
მიკროსკოპი და სხვა და სხვა
მელოციათ გაჩხრიკა და...
და გამსახლში იგი ჩაეცა

ლართაბიძე

ნატანები

პედაგოგებას

პედაგოგებო, უნდა გახსოვდეს,
უნდა გახსოვდეს თქვენი ვალია,
კულტურულ საქმის გაღრმავებისთვის
უნდა გახსოვდეს თქვენი ვალია,
კედლის გაზეთი რომ შეგინახავთ
და მივიციათ ის დავიწყებას,
თქვენ ხომ კი იცნობთ ჩვენი ბელადის
პედაგოგებზე წარმოთქმულ ცნებას,

ფოსტის გაგებას

ფუნაღავითი რომ აღარ მოდის,
და შენ აბრალო, ძმავ, რედაქციას,
დაკეფთა დროზე არ გადაგზავნე
(ახლა ეწევი „პროვოკაციას“).

საზაო. სეპციას

სად ხართ, ძმავ, გხათა სეპცია,
გზები რომ არის გაანგრილი,
ლაფში ისრობთ კოლმეურნე
თფალი ხომ არ გაქვს ჩხვეული.

ბრიყლი

პოლიციელი
ვინმე პიბლერი
„შეთქმულებისა“,
იყო მხილველი,
ვითომ ჩეკისტებს
განზრახვა ჰქონდათ,
რომ ფაშისტ პიტლერს
თავზე დასხმოდათ,
პროვოკაცია
არის პიტლერის—
საბჭოთა ქვეყნის
მოსისხლე მტერის.

ბოლდუინი

ბოლდუინა ვეახელ,
მისტერ ბოლდუინს,
გუდით რომ ატარებს
ქორებს და ტყუილს.
— თქვი რატომ, მაგ სახე
ნაღველმა დაჰფარა?
ატირდა ბოლდუინ,
ცრემლები დაღვარა.
— რა კირი გავვიჩნდა
საბჭოთა კავშირში,
ხელთ იღდეს მანდები,
ნავთი და ნახშირი...
მავნებელთ დაცვითა
ვერ გაველ ფონს
ქუთა შეკარგება,—
ვერ მოველ გონს.

პიუ.


პიტინგი

აბა გაზაფხულს, თვალთ დანახულს,
სჭირდება ტემპი მტკიცე და ჩქარი
მხარე მოითხოვს დოვლათს, ჭირახულს
მზად გვეყავდეს ცხენი, კამეჩი, ხარი.
ვებრძოლოთ ტემპებს ვინც რომ ანულებს,
ვინც წარმაცია — თესვაში, ხენაში,
— ცხენო წიხლი კარ თავლის მავნებელს
კამეჩს ვენაცვა, ფოლადის რქაში,
დავეგნარება ძია ტრაქტორი
ფოლადის ცხენი, ფოლადის რაში,
მაშ დავიარაზოთ ყველამ ერთად
თესვაში, ხენაში, მარგელაში, მავში!
ბევრი ჩაცვენილით მავნებელთ ხელში,
საკვები თითქმის ხშირად გვაკლია,
ბევრს ჩვენი წიხლი მოხდენდა გვერდში
თუ არ გასწორდა მუსივი ნაქლია!
გაუმწიწინ ერთმა ჩვენმა მოძმებმა
თავლაში უხმოდ სული დალია.
მან დაიბარა: — „მე დღე მომასია
ვინც არ მაღირსა ფხვნი ნალია.
ფოსტოლობ მოვლას, როგორც წესია,
მიწის მოხენა კი ჩვენია ვალია,
ვთხოვთ მოგაგწიროთ თავიდან იგი,
ვისაც მიუძღვის ჩვენწინ ბრალია!
„ახლა კი სიტყვა გვეძლევა ხარებს:
(ამბობს გიგელი ხარი ნიკორა,—)
ჩვენ გადავხანით მიწა ისეთი,
სად გვიმრის გარდა არა იყო-რა!
ზოგან მიწაში დავთესეთ ხაზმა,
ჩაის, პურს, სიმინდს ვთესავთ კველგანა!
მალალ ტემპებში ჩვენც ვცინდა ჩაზმა,
გვინდა აუყავდეს ჩვენი ქვეყანა.
ანელოლი.


ქვე სჯობს თავის ქვესაო — აღენს სხვირუი ქვესაო

ნახ. ნადაკეიფვილის.


სურლინში დაპრუიან ფაშისტების სჯახე
 ბი და სკემენ ვამელელებს. უცხოელელებს
 არ ინლობენ. ამას წინად სკემენ იტალიის
 წარმომაღვენლობის თანამშრომელს.



1. — | — | — | — | —



2. — უკაცრავად, ჩვენი ქვე ყოფილ ხართ





ს. ლაშის გლეხთა სალოც. სკოლის მასწავლებელი კალისტრატე ხარაძე პარტიული თანამდებობის კაცია, მაგრამ მართლმადიდებელი არ იკმარა და ნათლიამის შოვნაც მოინდომა.

— სხვას ვის აწყენა ნათლიამისა-გან მოტანილმა ღვინომ და საჭაპურებმა, რომ მე მათყუანოს? — გაიფიქრა კალისტრატემ და შხაყურად უღვაშებში ჩაივინა.

კალისტრატეს ნათლიამის ძებნა არც კი დასჭირებია.

— ვის უნდა მოეხილო ჩემი „ნათლია“ თუ არა კალისტრატეს? — გაიფიქრა გლეხმა ალექსი გელაშვილმა და საწათლიამოსკენ გაემართა.

— მეტი პატივი, და მომინათლე ჩემი ბიჭი! არ წააგებ იცოდე!

მათი „დიპლომატიური“ მოლაპარაკების შედეგი ის იყო, რომ მეორე დღეს ალექსიმ ცოლს გამოაცხობინა 30 საჭაპური გამოიყენა საჭათიდან ჩათვთულგებული ისდაური, ვაგსო ღვინო ღვინოანი, დოჭი და გაეჭნა „ნათლიას“ ბინისაკენ.

— ნათლიამას გაუხილეს — გელაშვილმა მისძახა ოთახის აივანიდან ალექსის გახარებულმა კალისტრატემ და ძღვენი ჩამოართვა.

— ამისთანა ძღვენს რომ მოგვართანდენ სულ დაუნათლავთ, რაც ჩვენ თქვენში ბავშვები დაიბადებიან! — გულნატკენად ჩაილაპარაკეს უბარტო მასწავლებელმა, რომლებსაც სერუჭვი ჩამოსდიოდათ „გამტკინებულ“ ინდაურის და კონტად „შებრწყულ“ ხაჭაპურებს ყურებით.

ს-ბო.

გმირი ქალუგი

(სამბრამლია)

თამარიკა ხაბეშვილი იცნობდეთ, გმირი ქალია, ორასი მეტრი ფართალი დახლის ქვეშ ვაღუშალია.

„სახეჯირობის“ № 10 მაღაზიის გამგე თამარიკა ხაბეშვილი კარგ გუნებაზე დაღა, როცა საჭონელი მაღაზიაში ბლომად მოუვიდა.

— ეს 20 მეტრი პირკალი მე მჭირდება სახლში! — და შეუძახა დახლის ქვეშ.

— ეს 7 წყვილი შიტლის საცვლებიც მე დამჭირდება. — ისიც მიაყოლა მას...

— ეს 50 მეტრი ფართალიც მე მჭირდება. — ისიც შეაგლო დახლის ქვეშ.

— ამ 30 მეტრს ტილოს სოფლის დაეძირდა — მიცოლა ჩემს.

— ესეც 60 მეტრი სატინა! გრომას შეეპირდი და ვერ მოვატყვილებ...

— ამ ოთხე წყვილ დებსაცმელს ვალო დეა მოიკითხავს დღეს...

— ამ 40 მეტრი სატინას კიდევ ჩემი რძლის დას შვილის ქმრის ხიბაშვილის ნათლია შემეხეცა, არ შეუნახო, არ იქნება. გაათავა თუ არა თამარიკა საჭონლის „განაწილება“ გაიხედა, თაროები ცარიელი დაჩა.

— მაშინვე გამოუცხადა მომხმარებლებს, რომელნიც უცდიდნენ მაღაზიის გაღებას: საჭონელი არ არის!

უკმაყოფილო მუშები დაიშალნენ. თამარიკა კი უყურებს დახლის ქვეშ გადამალულ საჭონელს და იცინის... იცინის... კვდება სიცილით...

მაშინ მოკვდეს „სახეჯირობის“ № 1 მაღაზიის გამგე ვერა ქანთარია, რომ თამარიკა ხაბეშვილს ჩამოართვს თვითმომარაგებამის იმან თუ 200 მეტრი გადაიძალა, — მე ნაკლები რატომ დამჭირდება?.. იმას თუ ყავს ნათესალები, მეც ყავს. იმას თუ ყავს ნიკნობ-მეგობრები, მეც ყავს, — თქვა ვერამ და მანაც შეუძახა დახლის ქვეშ საჭონელი.

— ეს ოთხი ჩითი და სატინა მე მჭირდება ოჯახში.

— ეს 30 მეტრი პირკალიც მე მინდა.

— ეს 20 მეტრი ნარმა მაშინდამის მულისშვილის რძლის შფურის ნათლიის ბიძაშვილს უნდა.

იმისობაში ვერიკო ხედავს, თარო დაცარიელდა.

მომხმარებლებს გამოუცხადა „უკმაყოფილო, საჭონელი არ არის“ — ვერა კი იცქირება დახლის ქვეშ უშურს „ნადავლს“ იცინის... იცინის და კვდება სიცილით.

და იცინებენ მანამდე, სანამ „სიცილი“ იგი არ დაბთავდება ტირილით!

ბრანდუნა

თანამედროვე სურამის ცინე

ნახ. ქოქიაშვილის.

ინგურის სამ. სატრაქტორო საღვურის საძირკველი, რომელიც სამჯერ ამოაშენეს, სამივეჯერ დაზარებული იქნა.



— რატომ სურამის ცინესავით ინგურეა ჩემი სამანქ. სატრაქტორო საღვურის საძირკველი? ნუ თუ იქაც ცოცხალი ზურაბი უნდა ჩავატაროთ? — ზურაბი კი არა, კვუა უნდა დაატაროთ, ყმაწვილო!



"ზრდილოვის ანგანი"

ნ.ბ. დონის.

თბილისის პედაგოგთა დახურულ კომპეტაციის გამგეობის თავმჯდომარე გიორგი დევედარიანი მომხმარებლებს უხეში სიტყვებით მიმართა

შერილი ანგანი

ტფილისიდან წერია: შენი შვილი, ჩემო მამა, აქნებ ფულებს რომ არ ვგზავნი მემღური და არ ვემა! მაგრამ ცოტა დამაცადე, მთლად ავაცხებ მაგ შენ თჯახს, ან „რასტრატას“ ვაგაქეთებ, ან ვაყვიდი აქ ჩემს ოთახს, ახლა მოგწერ, მამაჩემო, სად ვმსახურებ, რას ვაკეთებ, ცოტას კიდევ თუ მომიცილი, შემწველად ვაგაქეთებ.

მამა, ისე ოხერია, გეფიცები ჩემი ბინა, მგონი ხუთი ფანჯარა აქვს, აღარა აქვს არც ერთს მინა. ისე შედის შიგნით ქარი, სიცხისგან სული ვაგძვრეს, რვა ფუთი ქვა გულზე მადევს რომ საბანი არ გადამძვრეს.

„ტრამვაიში“ თუ ჩაჯექი, ვფიცავ კაცი ვაგაქეთებ, „ზემელიდა“ ვაქვს მისულა ცხრა მანეთი დაგიჯდება. ერთხელ ვცოდე და გადმოვბტი ტრამვიდან როგორც შევლი, მაგრამ ამ დროს უკანაიდან მილიციამ მსტაცა ხელი.

მითხრა: კრინტიც აღარ დაძრა, ამოიღე ჩქარა „სტრაფი“, თუმანიანი რომ მივეცი შეილ მანეთზე მიქნა „ჭაფი“.

„მუშკოპში“ კერძო პირი ვერ იშოვის ვერაფერსა, თავის ცოლს და ნათესაებს გამგე აძლევს ყველაფერსა. რესტორანში ოთცა შეხვალ, თუმც მსახურნი ყველა გხედავს, თუ მაგიდას არ დაამტვრევ, რა არცინ არ მოგხედავს. „სუბი“ თუ კი მოგიტანეს თუმც ძნელია დასაჯერად, ჯამში უნდა ვალალორდე ზორბლის მარცვლის დასაქერად.

ნ.ბ. დონის.



— სად წაივინა ჩემი მაზნობრივი ავანსები?
 — ჩაო? როგორ ბედავ მაგის კითხვას! ვითომც შენც მასწავლებელი ხარ რაღა! შენ თუ მასწავლებელი ხარ მე მაშინ დამსახურებული პროფესორი უნდა ვიყო!

კერანგი „ნასოსი“

საკვირველია პედაგოგთა დახურული განმანათლებელ მალაზია №2-ს ბუდი:

მალაზიის თანამშრომლები ხშირად იცვლებიან. რაც ხდება მალაზიის ხარჯზე. მალაზია ხშირად „ტყდება“, თანამშრომლები თვითომდარაგებს ეწვეიან.

ეს კიდევ არაფერი. მასწავლებელი კაცი ვარ, ფეხსაცმელი შეზომავ ვა. მიეწირათე ჩემს დახურულა ვიყიდე ე. წ. ჩეზინის ძირიანი წაღებო, მაგრამ ძირს ვილა სჩოდა, ზედაპირი არლეკინივით იყო სხედასხვაფერის ტყავისაგან აჭრელებული. ჩავიკვი და იმისთანა თქვენს მტერს, მე რაც მომივიდა. მოწაფეებმა თურ მე სასაცილოდ ამაგდეს და „ფუტურისტი“ დამარქვეს.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ჩვენს დახურულ განმანათლებელს სხვა სერიოზული ხასიათის მიღწევებიც აქვს: სამი დღის წინ ჩვენს მალაზია-დლის ხუთ საათზე ცოცხალი კლდი გაუჩნდა და ვათენებამდე სიოცრად გაიხარდა. კეშმარტად ამ მხრით ის ვენომინალური ცხოველია. მეც ჩვეულებრივად ამ კულს ბოლოში მოვექაძი და დედაციტურ საქონლს ნოლოდინში რვა საათი დაგყავი, ხლა-მოა 6 საათზე მომიწია ჩემი ოიგი.

— აღარაფერი აღარ დაგერჩა, ამხანაგო, ხეირიანი. დარჩენილი მხოლოდ ერთი ცალი პერანგი, შეგიძლია წაიღოთ, — მითხრა ნოქარიმა.

- რა დღის?
- ოთხნახევარი.
- გამოიმიწერეთ.
- მიბოძეთ საწვერო წიგნაკი! — მითხრა მან და ჩეკი გამომიწერა.

ჩეკი სალონში წარადგინე და, ოი, საკვირველებავ, ჩეკზე 10 მანეთი სწერია.

სიბრაზისაგან ავენთე.
 — ნუ ლელავთ ამხანაგო, თუ გნებავთ ვიანგარიშებთ: — 4 მ. 50 კაპ. საცვალი, 5 მ. 50 კ. ნასოსი, სულ 10 მანეთი

- რაი ნასოსი კაცო?
- დამატება, დარჩენილი საქონელი ვინ გაასაღოს. ფაშეობის განკარგულება უნდა შესრულდეს. ასეთი დღეს ორიოთხისი ცალი ვაგასაღეთ.

— ამხანაგო, მე ნასოს ვერ წავაღებ. რადგან შოფერი არა ვარ. სად ნახულა 4 მანეთიან საქონელზე 5 მანეთიანი საქონლის დამატება?

— რატომ არ შეიძლება, დღეიდან საქონათოდ ნურაფერზე მოიდახროთ. იყო ნოქარის უკანასკნელი პასუხი.

მალაგო



— რად დაიგვიანე?
 — მატარებელი ჩემო კარგი მთელი დღე-ღამით იგვიანებს და მე რომ 5-6 საათი დაგვიანო წარღვის მოხვლა იქნება?





ს ა კ ბ ი ლ ო

წარმომადგენელი
გენერალთა

სოფ. საირხე

(ჭიათურის რაიონი)

სოფ. საირხის (ჭიათურის რაიონი) კოლმე-
რატივის ნოქარი ვარდენ გმელიშვილი სწი-
რად ლილობს, რის გამო კოლმერატივი და-
იშაბიძრა

—ელი.

საირხის „ეპოსა“
ნეტავ ვინ განაგებს?
ნოქარი თუ ლოთობს
საგაჭროს არ ალებს, —
ეს გამგეს ეხება



იცოდეს თუ არა?
(ცხადია ყოფილა
იგი ყრუ, მძინარა!)
შორს უნდა გავფერთხოთ
ნოქარი ამგვარი,
გამგესაც არ აწყენს!
ბანდური მავარი!

მარტვილი

„მარტვილის (სამეგრელო) მომარაგების
განყოფილების გამგე ქლიავა მუშების
ხედრ პურს თავის ძმა-პიკეტს აძლევს.“
ანკმსი.

ზოგისათვის საძრახისი
აღარ არის საქმე ცუდი,



ეს ყმაწვილი — ქლიავა
დღეს გამხდარა პურის ქურდი!
მავიც იტყვის კაცი ფროს,
მახურავსო თავზე ქუდი!

ს ა ჩ ხ გ რ ე

„საჩხერის ფოსტაში გამეფებულა უთავ-
ბოლობა, ჩხუბი და ქურდობა. ფოსტის ად-
მი:სტრაცია ვერ ღვას თავის სიმაღლესე“.
საჩხერელი.


სადაც უთავობა
და პატრონი არ არი,
იქ მოხდება ქურდობა
და სიგლახეც სხვაგვარი!
ფოსტის გამგეც, სადა ხარ,
ცოცხლებში ხომ ითვლები?
დაგეძინა ძია - ჯან?
როდის გამოფხიზლდები?

ც ა გ ე რ ი

„ცაგერის პედაგოგინატიის ეზო შეუღობა-
ვია და თუთის ნერგებს ლორები ანადგუ-
რებს“.

საჩხერელი.

ზოგი გამგე — ყრუა,
და ბევია ზოგიც,
ხედავთ — ანადგურებს,
მამულს ღორის ჯოგი!



აღბად სულ არა აქვს
გამგეს ამის ჯავარი,
და თავისთვის ამზობს:
„ჩემი ხომ არ არის“?

შემოქმედი

(ოკუპაციის რაიონი)

„შემოქმედის (გურია) თემის სამკითხვე-
ლის გამგე შალიკო მელუა სამკითხველს
იშეიათად ალებს, იგი სამეგიერთო მუდამ
პოეტრალია“.

ჩამწერი.

იცნობდეთ: კომკავშირელსა,
მანენ და ცრუდამკვრელა,
ღვინოს ბევრსა სვამს და ჩხუბობს
ნამდვილი გადაშკვრელია!



უზრდელია და უხეში
თითქმის ყოველდღე მთვრალია,
ჩალად არ ავდებს სამსახურს
სინდის - ნამუსზე მწყურალია!

სამთავისი

„სამთავისის ოთხწლიანი მასწავლებელი
შენა ქურციკივე მოწოდებს უხეშად ვაქ-
რობა“.

უხეში.

ძველებური „უჩიტლები“
დღეს შკოლებში აღარ არის!
რომელთათვის ცემა - ტყემა
იყო მეტად სანუკვარი!



მაგრამ ზოგან დღესაც ჩნდება
ნაშთი ამგვარ წინაპარის!
რომლისათვის საჭიროა
რკინის ცოცხი ტარ - მავარი!

დაიბეჭდა და გამომვიდა
განსაყიდად
ს. თოდრიას
ახალი იუმორისტული პოემა
„ქართლის
ცხოვრება“
წიგნი შეიცავს 106 გვერდს და
ღირს 1 მ. და 50 კ.



მეტი, ნახე!



ეროვნული
გინჯი

ლილინი

ხარაგოულის რაიონის სოფ. ზედა-დორეშის კოლმეურნეობაში თავი მოიყარეს კულაკებმა, ყოფ. ვაჭრებმა და კლასიურად უცხო ელემენტებმა.



გაფრენილო ფუტკარო წადი ჩვენ ძმებს უთხარო, ჩვენი „საქმე“ კარგად მიდის. მოწყენილი ნუ ხარო. კოლექტივში მოვკალათდით რაღა გვაქვს სამწუხარო! შეგვიძლია ამ ხესა ძირი გამოუთხაროთ!

„ცილისწამება“

ხარაგოულის რაიონში კულაკი კოდრათი რუსმანაშვილი მოანგარიშეთ მოამზადეს კოლმეურნეობისათვის. („მუშა“). აქ შეცდომაა კორექტორული ან და მოტყუვდა ალბად მუშა-კორი და გაასალა უტყუარ ცნობად, გამოგონილი ამკარა ჭორი. ვინც კი ფიქრობს, რომ კოლექტივებს ჩვენ აგვიშენებს კულაკთა ჯიშ.

ცხადია თავში არეული აქვს იმას დავთარი და ანგარიში და ზემო ცნობაც ჩვენს განცვიფრებას, იმიტომ იწვევს, იმიტომ ბადებს, რომ ანგარიშის არ მცოდნე ხალხი, მოანგარიშეს ვით მოამზადებს? **თაიგული**

არგვეთის საბჭოთა მეურნეობის გამგემ საკურდღლე რუსეთიდან გამოქცეულ კულაკს ჩააბარა:—



გამგემ საბჭოთა მამულის ზეგლს ჩააბარა ბურაკი: საკურდღლეს გამგედ დანიშნა გამოქცეული კულაკი. მამულის გამგეს გეგეპკორს და „ჩვენს“ მეკურდღლეს „ჩინებულს“— ნოქართან ერთად სწირად გვერეტთ ღვინოთი გაბიჟვინებულს მათთვის ერთია—რა დღეა, თოვლია, მზე თუ ავღარი ღოთი-ფოთობენ ბიჭები, არეული აქეთ დავთარი.

ჩოხატაური

სამკითხველოზე მოგითხრობ, მაგრამ რა გითხრა ახალი, საში თვე არის, წავიდა, მოშორდა გამგე საწყალი. ის მასწავლებლად დანაშნეს, უნდა ვთქვა მაინც მართალი, — იყო უქმი და ზარმაცა, „ალარც ღვინო და არც წყალი“. მას შემდეგ ვერვინ გაიგო მასში ამბები რა ხდება, კარებს დაადგეს ბოქლომი, აწ მტერი ვერას გახდება.

„ბატკანი“

ზუგდიდში კულაკმა ლიტვინოვმა გადაწვა ტრაქტორი. გაზეთებიდან



ერთგვარი ფრაზა ქართული: მე იგი აქ მომყავს კვიმათად: თქვენც გაგიგონით; „ათამი ითესა ასეთი იმატა“ გინდ წაღმა იკითხე ეს ფრაზა და გინდა უკუღმა იკითხე:— ფორმაც და მისი შინაარსიც გამოდის ერთი და იგივე. და თუნდა გეჩვენოს, როგორც აქ კულაკი ბატკანი სახითა, ის მაინც კულაკად დარჩება, მავნებლურ ფიქრით და ზრახვითა.





რუსული „Крокодил“ ნიანში

ლიბერალი ბოსტანში

როცა ობიექტ დიაბოლურად დამბალი ლიბერალიზმისათვის, მან ხელი მოჰკიდა მეზობლებს,

მის ცოლს მშვენიერი ბოსტანი ჰქონდა.

ერთ დღეს მისი ცოლი ავადმყოფ დედასთან წავიდა.

ობიექტ ბოსტანში ჩავიდა სამუშაოდ.

აგერ, ხედავს კომპოსტის მატლი დასევი.

— რა მატლის ადგილია კომპოსტო? — გაბრაზდა იგი. — ახლავე უნდა იქნას მიწისპირა სასტიკი ზომები მატლის მოსაშობად... მაგრამ, მეორეს მხრით, მატლიც სულიერი არსებაა მასაც სკოტსლე უნდა... არა, დეე. იცოცხლოს, ხელსაც არ ვახლებ.


ახლა ობიექტ პედიკურის ნორჩ ნერგებს მიუახლოვდა.

ნერგებს ბალახ-ბუღახი ამოსვლო და გარშემო და ზრდას არ ანებებდა.

— აი მენებლები. ახლავე უნდა ამოვთხარო ძირუესვიანად... მაგრამ რას ვერჩი. ამითუ ხომ უნდათ სიცოცხლე... არა, ხელს ვერ აღმართავ მათ მოსათხრელად; დეე იცხოვრონ.

კიდევ კარგი, რომ ცოლი მალე დაბრუნდა, თორემ მთელი ბოსტანი დაიღუპებოდა ასეთი მომეღვინე ხელში.

„ხალტურჩიკი“



— რას შვრები! კულაკს თამაშობ და მეფისტოფელის გრიმს იკეთებ?

— ვინ იცის, იქნებ მეფისტოფელიც კულაკი იყო.

თავმოუვარე ქმარი



— ჩემი ქმარი ძალიან თავმოყვარეა, მან თქვა, რომ თუ არ აღმადგენენ შარშანდელი წმენდის შემდეგ მომავალ წმენდაში არ გავტარდები.

კლიური უთავგებულება

— ჩვენ ვნახეთ ახალი კინო სურათი და იცო, ივანე კინალამ ატირდა.

— როგორ, მთავარი გმირი შეეცოდა?

— არა,
— მაშ რა?
— სურათზე დახარჯული ფული.

რკინისგზაზე



სასწრაფოდ გადასაზიდი საქონელი.

კალმის გასაჭირი

— რატომ უარყო მან თავისი წიგნი, კრიტიკის შეეშინდა?

— არა. შიშ უამრავი კორექტურა ლა შეცდომებითა და სულ სხვა შინაარსი გამოდის.

— თავისი ახალი რომანისათვის მან შეუღარებელი სახელწოდება გამოიკონა.

— აღბად ასეთი: „მადრიდის საიდუმლოება“, ანდა „ახალგაზრდა ქალის სიყვარული“.

— არა... თავის ახალ ნაწარმოებს მან უწოდა „ტრაქტორის ძირითადი საფუძვლები“ და ამიტომ გავრცელდა რომანი დიდი ტირაჟით.

— საძაგლობაა. სამი წელიწადია თქვენ პორტფელში გიდევს ჩემი ნაწარმოები და მას არ ეღიროსა დაბეჭვდა... ასეთი გაჭიანურება...

— უკაცრავად, ეს გაჭიანურება არ ვახლავს.

— მაშ რა არის ნაწარმოები ძველდება და შვარგავს...

— ჩვენც ამას ვფრტყვამთ. მომენტი და ყოველდღიური საკითხები არ გვახტერებს. ჩვენ უკვე რამდენიმე წელია რაც სტამბაში აწყობილი გვაქვს დანტე და ჯერ კიდევ არ დაბეჭდილა, მაგრამ ამით ავტორი არაფერს კარგავს და მას არაფრის ეშინია.

მომხსენებელი



მომხსენებელი: ვის აქვს შეკითხვა? დარაჟი: — მე მაქვს... ყველა წავიდა. როცა გაათავებ თითონ დაკრავთ კლუბს?



შეჯიბრება

ოჯუგბითი, ქალაქის სასადილოების გამგებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს ერთმანეთი. შეჯიბრების მთავარი პირობაა, სადილის ფასების ისე გაძვირება, რომ სასადილოში სადილობა ვერაფერს შესძლოს; აგრეთვე შეჯიბრების მთავარ მუხლად შეტანილია სადილების ხარისხის გაუარესება და მუშაკებისათვის — ხურდა ფულის უქონლობის მომიზეზებით — გროშების შეიმასქნება. შეჯიბრებაში ჯერ-ჯერობით პირველობა ლუკას სასადილო.

— **იმიდანვე.** გადაწყდა ადგილობრივი კლუბისა და თეატრის გაუქმება, ვინაიდან სამღერები, კონცერტები და ცეკვა-თამაში მულმივად იმართება კოოპ. სასადილოებში. სასადილოების კლუბად გადაქცევის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ზოგიერთ აქტიურ მილიციონერს.

დაპარბვა

სოფ. ნორიო. (აბაშის რაიონი) უგზო-უკვლოდ დაიკარგა სოფლის ქობ-სამკითხველოს გამგე, რის გამოც სამკითხველო გამუდმებით დაკეტულია.

აკივლი.

დაჯილდოვება

სოფ. გელათი. (ტყიბულის რაიონი), კოლმეურანეთის ნოქარი — ერემია წარდგენილია დასაჯილდოველად, რომელმაც გლეხობისათვის მიღებული ფართალი და სხვა საქონელი გაუნაწილა თავის ძმა-ბიჭებს.

აზი სიზმარი

სოფ. შორავილი. (კიათურის რაიონი). კოლმეურანეთის თავმჯდომარე ბაგრატმა ნაბა სიზმარი, ვითომც მას გაუგეს შაბიამანის გაყიდვა და იღებულ ფულის მითვისება და დაუპირუა გასამართლება, სიზმარის შემდეგ ბაგრატი თავს უქეიფოთ გრძნობს.

ობრანული.

დამკვრელი

სმირი. ფოსტა-ტელეგრაფის გამგემ თავი გამოაცხადა დამკვრელად ლოთობაში. გამგე შეჯიბრებაში იწვევს ზესტაფონის ფოსტა-ტელეგრაფის გამგეს.

აბკო.

მეორე ირაზვილს (კიათურა) შევდივართ ამბ. ვალკის მდგომარეობაში, რომელსაც გადაცემული ჰქონია თქვენი ლექსების, პოემების და რომანების მთელი ტომები.

ირას (იქვე) აღბად თქვენც ქეთოს ნათესავი უნდა იყოთ, მაგრამ თქვენი მუხის „მიღწევები“ ქეთოსას უთუოდ იდენტურაა. აბა რომელ ქეთოს შეუძლია დასწეროს ამაზე უფრო გამართლებული სტრიქონები:

ლექსებს დავწერავ (?) რითმით დატნილს, ლექსებს დავწერავ (?) მაღალ ტონიანს ვუმღერებ იმას, რომელ მატერიას ეწევა მუშა ტვირთებს ტონიანს (?). თქვენგან „დანაწერავ“ „რითმით გატნილს“ ლექსებზე უფრო „ეფექტიანი“ იმავე ლექსის სტრიქონებია: **იქვეებს ტყვია** მთელი ხმაურით **ქვეშები სიკვდილს** გადმოაფურთხებს (?). იმ სენს, რომლის შედეგად ასეთი „ლექსები“ იწერება, ნიანგის ლექსიკონში „ქართული ფურცლები“ ეწოდება.

ნისბორას: (იქვე). თქვენი ლექსი ასე თავდება:

კონდუქტორმა წაიღო ხურდა ჩემი მანათია, ჩემი ცოდვა იმას ქონდენ, შერ გაწყვეტი მანათისთვის დადუბენია. აღბად იმ კონდუქტორისათვის ხალხურ ნათქვამი:

„ერთი შერა მელასაო, მოუმატა კენასაო“.

ჩვენ კი პირადად გვერჩია, რომ იმ კონდუქტორს თქვენი მანათის ნაცვლად თქვენი ლექსები წაეღო.

დემოკლს (იქვე). ვთავსებთ თქვენს ცნობას:

პარკოვის ქუჩაზე მდებარე ხაზლის № 29 სამკუთხედი ქრთამებს იღებს მუშებისაგან თათბერში ჩასახლებაში. ასეთ სამკუთხედს თვითონ ესაქიროება ახალ ბინაში ე. ი. გამსახლში ჩასახლება. უოველგვარი ქრთამის და პროტექციის გარეშე.

„მეა-მების მტერი“

ნახ. ისაევის

ზოგიერთ ადგილებში მელორეებსა გაფლანგვს ლორის საცემა.



კოსკ 336

— როდის გვეღიროსება საცემა? — მანამდე არა, სანამ ნამდვილ ღარდება „ჩენი მის“ ძალაგმავად.

მელორეც არ მოგვიჩაბუნენ ამ





— დედილო, რატომ ამ კაც-
საც არ იჭიკუნ, რომ თელს
მამასავით აუნეხს და ანი-
აბებს?

ქოქიაშვილის.